

**ლელა**  
**ნოვაჯია**

**3. ალექსევი — 625 კმ!**

**თბილისელა როგორთელა ნევილთა თანრიგშიც იპარაჟა**

ამ სურათზე აღბედილია გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გამართული საქვეყნო ჩემპიონატის მორიგი მატჩის მომენტი. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის „ბურვესტნიკის“ და ტარტუს „კალევის“ კალათბურთულ ვაჟთა გუნდები.



(მატჩის ანბარში იხ. 80-3 გვ.)

პროფესორი სველა ქვეყნისა, მხარეთმცოდნეობის



საპ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

**ЛЕЛО** Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 254  
(4248)

1970 წ.  
დეკემბერი.  
სამუშაბათი.  
ფასი 8 კაპ.

გაზეთი გამოდის  
1934 წლის  
18 აპრილიდან

**კაკვი**  
სწრაფი

**ბალახარებით**

აქარის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა ვადაძე და გადაქარებით შეასრულეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების 1970 წლის გეგმა-ვალდებულება.

მომზადებულია 24 სპორტის ოსტატი, ნაცვლად 18-ისა, 82 სპორტის ოსტატობის კანდიდატი, 402 პირველთაწიგოსანი, მეორე, მესამე და მორარდთა თანრიგების 14.540 სპორტმენი.

თანრიგოსანთა მომზადება გრძელდება.

**წ. მამუშაძე,**  
აქარის ასრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

**მეტრეველის  
საკსკლწლო  
ნობათი**

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ თბილისელმა ჩოგბურთელმა ა. მეტრეველმა სამხრეთ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა. და აი, მან ფინალში სძლია ძალიან ძლიერ მეტოქეს, უიმბლდონის 1965 წლის ტურნირში გამარჯვებულს, ავსტრალიელ ფლეტჩერს — 6:8, 4:6, 6:8, 6:2.

მერე სსრ კავშირის ჩემპიონმა ფრანგ რუაისთან წყვილში კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია. ამ ინტერნაციონალურმა ღუეტმა ფინალში დაამარცხა ფლეტჩერი და მისი თანამემამულე დიბლეი — 6:8, 8:6, 11:9, 6:4.

მეტრეველმა მართლაც კარგი სახალწლო ნობათი უძღვნა მისი ოსტატობის ქომაგებს. ამ გამარჯვებებით ქართველმა ჩოგბურთელმა თავის მრავალსაჩემპიონო ტიტულს სამხრეთ ავსტრალიის ჩემპიონის წოდებაც მიუმატა.

ქალთა წყვილებში საუკეთესონი აღმოჩნდნენ მოსკოველი ო. მოროზოვა და ავსტრალიელი კ. მარისი.

სურათზე: ა. მეტრეველი.



როგორც ცნობილია, იუგოსლავიის ქალაქ ვრნიაკა-ბანიაში სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონმა, თბილისელმა მოქალაქემ ნანა ალექსანდრიამ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა. ამ სურათზე სწორედ მას ხედავთ თანხი ხელში.

(თანის გათავაზებისადმი მიძღვნილი მასალა იხ. 80-2 გვ.)



**კაკვი**  
სწრაფი  
1970 წ.  
დეკემბერი... 19<sup>კ</sup>

◆ **სტოპკოლში,** 28 დეკემბერი. „პოლარული თასის“ ტრადიციულ გათამაშებაში ცსკა-ს ჰოკეისტთა კოლექტივმა დაამარცხა ქ. მორის გუნდი — 11:2. მოსკოველთაგან შაიბები გაიტანეს პეტროვა (3), ბლინოვა (2).

ვიკულემა, ფირსოვა, ანისინა, მიშაკოვა, რაგულინა და სარლამოვა.

◆ **პარაოლინი** (ჩეხოსლოვაკია), 28 დეკემბერი. ევროპის იუნიორ ჰოკეისტთა IV ჩემპიონატის ბარველ მატჩში სსრ კავშირის ნაკრებმა ანგარიშით 12:0 სძლია გერმანიის გუნდს, ხოლო ჩეხოსლოვაკიელებმა ნორვეგიელებს აჯობეს — 19:3.

◆ **პალსინი,** 28 დეკემბერი. მოსკოვის „სპარტაკის“ მოკეისტთა გუნდმა მეორე მატჩი ჩაატარა „პერნის თასზე“. მოსკოველებმა ამჯერადაც წარმატება იხვეიეს — ანგარიშით 6:2 დაამარცხეს „აიკი“.

რომლის კარს შეეცდის ნაკრების მეკარე ჰოლმევისტი იცავდა. სპარტაკელთაგან შაიბები გაიტანეს იაროსლავცევა (2), შალინოვა, სტარშინოვა, შადრინა და კლიმოვა.

**კაკვი**  
სწრაფი  
1970 წ.  
დეკემბერი... 19<sup>კ</sup>

**ყველა მოლოდინს გადააჭარბა**

„განთიადის“ დარბაზში ჩატარდა 1953-56 წლებში დაბადებულ სპორტისტთა საქალაქო პირველობა. მონაწილეთა რიცხვმა ყველა მოლოდინს გადააჭარბა: ტურნირში 120-მდე თბილისელი ათლეტი ჩაება. მოჭიდვეთა ასეთი სიმრავლე რესპუბლიკურ ჩემპიონატებშიც იშვიათია.

გამოვლილდნენ პერსპექტიული ათლეტები, რომლებიც იანვარში მოსკოვის შესარჩევ ტურნირში იასპარეზებენ. ქების ღირსნი არიან: სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები ა. ოზაიძე და ბ. გოგიბედაშვილი, მწვრთნელთა სკოლის მოსწავლე ტ. რთველიანი-ვილი და კინეფრისტიტის წარმომადგენელი ჯ. კბილაშვილი.

სამწუხაროდ, „განთიადის“ და

„ლოკომოტივის“ სამბისტებმა სრული გუნდები. ვერ წარმოადგინეს, რის გამოც მხოლოდ IV-V ადგილები ხვდათ. „შრომითი რეზერვში“ სულ 4 თვეა, რაც მწვრთნელად გ. კახაბრიშვილი მუშაობს და წარმატებაც უკვე თვალსაჩინოა: საზოგადოებას სამი პრიზიორი ჰქვავს.

**ფ. მარტოვლიძე,**  
შეჯიბრების მთავარი მხაჩი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი.

გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს:  
**გუნდური ადგილები:** 1. „დინამო“, 2. „ბურვესტნიკი“, 3. „სპარტაკი“.

52 კვ. 1. ნ. ტოგოვი („ლოკო-

მოტივი“), 2. ვ. კულუმბეგოვი („ბურვესტნიკი“), 3. შ. კინჭარაული („განთიადი“).

55 კვ. 1. ბ. გოგიბედაშვილი („ლოკომოტივი“), 2. თ. ყანდაშვილი, 3. ლ. სულაძე (ორივე — „დინამო“).

58 კვ. 1. ა. ოზაიძე („ლოკომოტივი“), 2. ტ. ლაშქარაშვილი, 3. ნ. სოლაშვილი (ორივე — „დინამო“).

61 კვ. 1. ტ. რთველიანი („დინამო“), 2. ვ. შაქარაშვილი („ლოკომოტივი“), 3. თ. ელისაბედაშვილი („დინამო“).

69 კვ. 1. დ. კოდანოვი („ბურვესტნიკი“), 2. რ. ბუთხუზი („შრომითი რეზერვები“), 3. ა. მორჩილაძე („დინამო“).

87 კვ. 1. ბ. გიგაური („ბურვესტნიკი“), 2. თ. კენჭიაშვილი („სპარტაკი“), 3. თ. მახიაშვილი („დინამო“).

**სწრაფი**

**ტარტუ,** 27 დეკემბერი. ესტონეთის 1970 წლის საუკეთესო სპორტსმენმა, მძიმე წონის ძალოსანმა ი. ტალტსმა აქ გამართულ შეჯიბრებაში მსოფლიოს ახალი რეკორდი დაამყარა — 201 კგ აჭიმა. ეს 1 კგ-ით მეტია მისივე მსოფლიო რეკორდზე. ტალტსმა ამ შედეგით 27-ე შესწორება შეიტანა მსოფლიო რეკორდების ცხრილში.





